

შპს “ემ ჯი ლო”

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ემ ჯი ლო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	60,169	37,389	8,749
სულ გრძელვადიანი აქტივები		60,169	37,389	8,749
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	986,816	586,569	351,753
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		508,298	837,224	404,716
სხვა მიმდინარე აქტივები	6	277,576	141,616	1,811
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,772,690	1,565,409	758,280
სულ აქტივები		1,832,859	1,602,798	767,029
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		40,194	30,422	31,795
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	295,801	113,656	40,655
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		335,995	144,078	72,450
სულ ვალდებულებები		335,995	144,078	72,450
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,496,864	1,458,720	694,579
სულ საკუთარი კაპიტალი		1,496,864	1,458,720	694,579
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,832,859	1,602,798	767,029

შპს „ემ ჯი ლო“-ს დირექტორი

არჩილ გიორგაძე _____



შპს „ემ ჯი ლო“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	8	2,674,783	2,624,214
ამონაგების თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		2,674,783	2,624,214
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(2,338,626)	(1,685,726)
ფინანსური შემოსავალი	10	5,178	1,289
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	11	(6,443)	(175,636)
მოგება დაბეგვრამდე		334,893	764,141
მოგების გადასახადი		(44,512)	-
წმინდა მოგება/ზარალი		290,380	764,141

შპს „ემ ჯი ლო“-ს დირექტორი

არჩილ გიორგაძე _____



შპს „ემ ჯი ლო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2021	-	694,579	694,579
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პერიოდის მოგება	-	764,141	764,141
ნაშთი - 31.12.2022	-	1,458,720	1,458,720
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(296,749)	(296,749)
პერიოდის მოგება	-	334,893	334,893
ნაშთი - 31.12.2023	-	1,496,864	1,496,864

შპს „ემ ჯი ლო“-ს დირექტორი

არჩილ გიორგაძე _____



შპს „ემ ჯი ლო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ემ ჯი ლო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 27/01/2021). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 60ბ, სართული 16, ბინა N65. მისი ძირითადი საქმიანობის სფეროა, კონსულტაციები იურიდიულ საკითხებში.

- კომპანიის დირექტორი: არჩილ გიორგაძე, 01003009664
- კომპანიის მესაკუთრეები: არჩილ გიორგაძე, 01003009664 – 50% და ნიკოლა მარიანი, 01892004996 – 50%.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით

კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844	3.5040

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და გადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება

დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 2 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი

ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ცვლილებები წარდგენაში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესაძარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

	კორექტირებული 2022 წლის 31	თავდაპირვე ლი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	შინაარსი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	586,569	579,524	7,045	კორექტირება
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	120,544	278,756	(158,212)	კორექტირება
საიჯარო ვალდებულება	10,808	-	10,808	რეკლასიფიკაცია
სავაჭრო ვალდებულებები	34,216	34,146	70	კორექტირება
საგადასახადო ვალდებულებები	30,422	29,859	563	კორექტირება
სხვა ვალდებულებები	68,631	68,369	262	კორექტირება
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,458,720	1,621,590	(162,870)	კორექტირება
მომსახურების გაწევიდან	2,624,214	2,612,677	11,537	კორექტირება
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,251,515)	(1,189,860)	(61,655)	კორექტირება
იჯარის ხარჯი	(18,364)	-	(18,364)	რეკლასიფიკაცია
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(409,976)	(515,718)	105,742	კორექტირება
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(175,636)	-	(175,636)	რეკლასიფიკაცია

4. პირითადი საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	
ლარი	
წმინდა საბალანსო ღირებულება 01/01/2021	9,109
შემოსვლა	-
ცვეთა პერიოდისათვის	(360)
ჩამოწერა	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2021	8,749
შემოსვლა	34,511
ცვეთა პერიოდისათვის	(5,871)
ჩამოწერა	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2022	37,389
შემოსვლა	37,037
ცვეთა პერიოდისათვის	(11,563)
ჩამოწერა	(2,695)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2023	60,169

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
	ლარი	ლარი	ლარი
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მოთხოვნა	986,816	586,569	351,753
სულ	986816	586569	351753

6. სხვა მიმდინარე აქტივები

	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
	ლარი	ლარი	ლარი
გადახდილი ავანსი	144,610	51,728	-
დეპოზიტები და გაცემული სესხები	88,750	67,550	-
მისაღები პროცენტი	6,550	1,266	-
სხვა მოთხოვნები	37,666	21,071	1,811
სულ	277,576	141,616	1,811

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	143,322	34,216	28,756
საიჯარო ვალდებულება	21,303	10,808	-
სხვა ვალდებულებები	131,176	68,631	11,899
სულ	295,801	113,656	40,655

8. ამონაგები

	2023	2022
	ლარი	ლარი
ამონაგები საქართველოში გაწეული მომსახურებიდან - 18%-იანი ბრუნვა	1,611,049	1,622,813
ამონაგები საზღვარგარეთ გაწეული მომსახურებიდან - ნულოვანი ბრუნვა	1,063,734	1,001,401
სულ	2,674,783	2,624,214

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,618,402)	(1,251,515)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(12,133)	(5,871)
იჯარის ხარჯი	(107,094)	(18,364)
სხვა ხარჯი	(600,997)	(409,976)
სულ	(2338626)	(1685726)

10. ფინანსური ხარჯი / შემოსავალი

	2023	2022
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	5,178	1,289
სულ	5178	1289

11. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2023	2022
	ლარი	ლარი
საქურსო სხვაობა	(6,966)	(176,529)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	523	893
სულ	(6443)	(175636)

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა (27.09.2024)

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 27 სექტემბერს.



შპს „ემ ჯი ლო“-ს დირექტორი

არჩილ გიორგაძე _____